თემურ სიხარულიძე
შუა საუკუნეების ისტორიის სამაგისტრო პროგრამა, თსუ
Temosikharulidze43@gmail.com

ჯადოქრებზე ნადირობის იდეოლოგიური საწყისები ევროპაში

საკვანძო სიტყვები: ჯადოქრობა, მაგია, ერესი, შაბათი, ეშმაკი, ინკვიზიცია
Keywords: Witchcraft, Magic, Heresy, Sabbath, Devil, Inquisition

ჯადოქრებზე ნადირობა ევროპის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ და მრავალშრიან ფენომენს წარმოადგენს. შუა საუკუნეების მიწურულსა და ადრეულ ახალ დროში (XV-XVII სს.) საზოგადოებაში გაჩნდა მძლავრი „რწმენა“, რომ გარკვეული პირები ეშმაკთან დადებული შეთანხმების საფუძველზე ბოროტ ძალას ემსახურებოდნენ. ამ „რწმენამ“ ხელი შეუწყო კოლექტიური შიშის, დემონოლოგიური თეორიებისა და რეპრესიული პრაქტიკების ჩამოყალიბებას, რამაც, საბოლოოდ, ჯადოქართა მასობრივი დევნა გამოიწვია. წარმოდგენები ჯადოქრობაზე ასახულია როგორც სამართლებრივ დოკუმენტებში, ასევე ლიტერატურულ და საეკლესიო ტექსტებში, რომლებიც მოსახლეობის დაშინებასა და ხელისუფლების მიერ სოციალური კონტროლის განმტკიცებას ემსახურებოდა. ნაშრომის მიზანია ამ ისტორიული წყაროების ანალიზი, რომელთა საფუძველზეც ჯადოქრობის შესახებ წარმოდგენები ყალიბდებოდა და გავლენას ახდენდა ევროპულ საზოგადოებაზე.

დაახლოებით XIV საუკუნიდან ფართოდ გავრცელდა შეხედულება, რომ გარკვეულ ინდივიდებს ეშმაკის დახმარებით, მისი გამოძახების ან მასთან დადებული შეთანხმების (ხელშეკრულების) საშუალებით ჯადოსნური (ე. ი. რასაც ჯადოს ძალა აქვს – სასწაულებრივი) ქმედებების განხორციელება შეეძლოთ. XV საუკუნის პირველ ათწლეულებში ეს აღქმა საფუძვლად დაედო საშინელი იდეის ფორმირებას, რომლის მიხედვითაც ადამიანი, რომელიც „ჯადოსნურ ქმედებებს“ ახორციელებდა, ეკუთვნოდა ჯადოქრებისა და მაგების სექტას. ისინი იკრიბებოდნენ ფარულად, რათა თაყვანი ეცათ ეშმაკისთვის და ქრისტიანული საზოგადოების დანგრევისთვის შეეწყოთ ხელი. ამ შეკრებებს, როგორც მიიჩნეოდა, მოსდევდა ადამიანთა სიკვდილი და მოსავლის განადგურება. ამ გზით ჩამოყალიბებული „რწმენა“ იქცა „ჯადოქრობის დოქტრინის“ საფუძვლად და განაპირობა XV-XVII საუკუნეების ჯადოქართა მასობრივი დევნა, რომელსაც შეიძლება „ჯადოქრებზე ნადირობაც“ კი ვუწოდოთ (Ostorero 2019: 60).

ამ ახალი შეხედულების წარმოშობაზე სხვადასხვა ხასიათის დოკუმენტი გვაწვდის ცნობებს: ქრონიკები, პამფლეტები, სასამართლო პროცესე-

ბის მასალები, კანონმდებლობა, საეკლესიო და ლიტერატურული ტექსტები. ერთ-ერთი პირველი ავტორი, რომელიც, შეიძლება ითქვას, ჯადოქრებს აღწერს, ნიკოლას ეიმერიკია. ის დაახლოებით 1320 წელს დაიბადა კატალონიის ჩრდილოეთის ქალაქ ჟირონაში, სადაც ახალგაზრდობაშივე გაწევრიანდა დომინიკელთა ორდენში. ამის შემდეგ, იგი გაემგზავრა პარიზის უნივერსიტეტში, რათა თეოლოგიის დოქტორის ხარისხი მიეღო. ბოლოს კი, 1357 წელს დაინიშნა არაგონის სამეფოს ინკვიზიტორ-გენერლად. ეიმერიკის სამშობლოში პაპის ინკვიზიცია უკვე XIII საუკუნის დასაწყისიდან მტკიცედ იყო დამკვიდრებული, როდესაც ვალდენსელებისა და სხვა სულიერი მოძრაობების წინააღმდეგ მრავალრიცხოვანი სასამართლო პროცესი გაიმართა. თუმცა, როდესაც ეიმერიკი ინკვიზიტორ-გენერლად დანიშნეს, შუა საუკუნეების დიდი ერესების ეპოქა უკვე დასასრულს უახლოვდებოდა. ეს კი ამბიციური ბერისთვის საკმაოდ დამთრგუნველი ვითარება იყო. თუ ერესები აღარ იარსებებდა, გამოვიდოდა, რომ ინკვიზიტორებიც აღარ იქნებოდნენ საჭირო. მაგრამ ეიმერიკი ერესს აღიქვამდა არა როგორც ისტორიულად შემოსაზღვრულ მოვლენას, არამედ ბოროტებას, რომელიც მუდამ ჩასაფრებულია ეკლესიის წინააღმდეგ. სწორედ ასეთი მტრის არსებობა ამართლებდა ინკვიზიციის მარადიულობასა და მისივე, როგორც რწმენის ინკვიზიტორის პირად მისიასა და დიდებას (Granados 2019: 20).

„Contra Christianos“ („ქრისტიანთა წინააღმდეგ“) ეიმერიკის ყველაზე ვრცელი ნაშრომია. ის დაწერილი უნდა იყოს მისი ინკვიზიტორად მოღვაწეობის პირველსავე წლებში და შეიცავს დემონოლოგიურ მსჯელობათა სერიას, რომელიც შემდგომში სისტემურად ჩამოყალიბდა მისი სახელმძღვანელოს “Directorium inquisitorum”-ის („ინკვიზიტორთა სახელმძღვანელო“) 42-ე და 43-ე თავებში (Eymeric 1607: 335-348). როგორც თავად სათაური მიანიშნებს, ეს ტრაქტატი ამტკიცებდა ინკვიზიციის იურისდიქციის გავრცელებას მაგიის, ნეკრომანტიისა და დემონთა მოხმობის პრაქტიკებზე, როგორც ერესის დანაშაულზე. ნაშრომში ეიმერიკი ხშირად მიუთითებდა მის მიერ შეგროვებულ სასამართლო აღიარებებზე, რომლებიც ამოღებულ ჯადოსნურ წიგნებთან ერთად, აძლევდა საშუალებას გამოეკვლია და გაემჟღავნებინა ჯადოქრებისა და ნეკრომანტების საქმიანობის ნამდვილი არსი. ბერის თანახმად, დემონთა მომხმობლები და აღმსარებლები არა უბრალო ჯადოქრები და მკითხავები, არამედ რეალური ერეტიკოსები იყვნენ, შესაბამისად, ექვემდებარებოდნენ ინკვიზიციურ სამართალს. ფაქტობრივად, ჯადოქრებზე დევნის დასაწყისი იმ ეპოქისთვის უცხო არ იყო, რადგან მანამდე ერეტიკოსებსაც ზუსტად იმავე მეთოდებით უსწორდებოდნენ. მაგრამ, მას შემდეგ, რაც ერეტიკოსობა, ასე თუ ისე, აღმოიფხვრა, ინკვიზიციამ ახალი მტერი – ჯადოქარი შექმნა და მასაც ისევე გამოუცხადა ბრძოლა, როგორც ერთ დროს ერეტიკოსებს ებრძოდა. აი, რას წერს თავად ეიმერიკი: „დავების გარეშე რისთვის უნდა არსებობდეს მოსამართლეები?... როდის და როგორ გამოვლინდა წამებულთა მოთმინება, თუ არა ტირანების მიერ

მათი დევნის დროს? ასე რომ, როგორ უნდა გამჟღავნდეს ინკვიზიტორთა დიდება, თუ არა ერეტიკოსთა ბოროტების წყალობით? ერეტიკოსთა მომრავლება, მაშასადამე, გამოავლენს ჭეშმარიტ მოძღვრებას“ (ავტორისეული თარგმანი – თ. ს.). როგორც ჩანს, ეკლესია და ინკვიზიცია საკუთარ დიდებას, ერეტიკოსთა დევნის შემდეგ, ახლა უკვე ჯადოქართა დევნაში ხედავდა. სწორედ ამან განაპირობა ახალი სასტიკი იდეოლოგიის დაბადება ევროპაში, რომელიც ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე მოვლენაა (Oliver 1996: 46). ვიცით, რომ უამრავი უდანაშაულო ადამიანი საერთოდაც გამოგონილ ამბებს უსაფუძვლოდ შეეწირა და მით უმეტეს, „ჯადოქრობასთან“, არანაირი კავშირი არ ჰქონიათ.

ქრონიკების, პამფლეტებისა და მსგავსი ტექსტების დანიშნულება მოსახლეობის ინფორმირება იყო ჯადოქრების შეკრების საფრთხის შესახებ, რომელიც საზოგადოებაში წარმოჩინდებოდა როგორც ბოროტი და შემზარავი დანაშაული. XV საუკუნის მეორე ნახევარში იწყება დემონოლოგიის უფრო ვრცელი ტრაქტატების შედგენა. მათი მიზანი იყო, ერთი მხრივ, ზიანის მომტანი მაგიის პრაქტიკისა და ჯადოქრების ქმედებების ახსნა, ხოლო, მეორე მხრივ, ეშმაკთა ძალაუფლებისა და მოქმედების მასშტაბების განსაზღვრა. საბოლოოდ, ეს ტრაქტატები იქცა სახელმძღვანელოდ იმ კრიტერიუმების განსაზღვრისთვის, რომელთა მიხედვითაც წყდებოდა ეჭვმიტანილი ჯადოქრების ბრალეულობის საკითხი.

1430-იანი წლებიდან ჩნდება არაერთი წერილობითი ნაშრომი, სხვადასხვა კონტექსტში, რომელთა მიზანსაც წარმოადგენდა „ჯადოქრების შაბათის“[1] აღწერა. სიტყვა “Sabbath” მომდინარეობს ებრაულიდან שַׁבָּת (šabbāt), რაც ნიშნავს „დასვენებას“ ან „შეჩერებას“ (Brown, Driver, Briggs 1906: 992). ლათინურ ტრადიციაში იგი დამკვიდრდა როგორც “Sabbatum”, რაც დასვენების დღეს აღნიშნავდა, ინგლისურ ენაში კი შემოვიდა ფორმით “Sabbath“ (Lewis, Short 1879: 1609). ძველქართულ ბიბლიაში „შაბათი“ არის დასვენების დღე (გამოსვლა 20: 8-11), სწორედ ამიტომ „შაბათი“ პირდაპირი და ისტორიულ-ლიტერატურული თარგმანია “Sabbath“-ისა. ყოველ შემთხვევაში, ის ავტორები, რომლებიც ამ დღის აღწერას ცდილობენ, განსაზღვრავენ და სახეს აძლევენ ახალ რწმენას: კაცები და ქალები ქმნიან ფარულ სექტებს, რომელთა წევრებიც უარს ამბობენ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე და ერთგულებას ეფიცებიან ეშმაკს. მათი ერთგულება მტკიცდება შეთანხმებით; როცა ეშმაკი ან დემონები უხმობენ, სექტის წევრები იკრიბებიან განმარტოებულ ადგილებში, ხშირად – ფრენის გზით. აქ ისინი თაყვანს სცემენ ეშმაკს და ასრულებენ მის ბოროტ ნებას ადამიანებზე, ცხოველებზე და მოსავალზე. ასევე, მათ აბრალებენ სქესობრივ ურთიერთობას ეშმაკ-

[1] გარკვეული რწმენით, ჯადოქრები ყოველ შაბათ დღეს იკრიბებოდნენ ისეთ ადგილებში, რომლებიც მიუვალი ან რთულად მისაღწევი იყო ადამიანისთვის. სწორედ ამიტომ მიიჩნეოდა, რომ ისინი ჰაერს იყენებდნენ გადაადგილებისთვის. სხვა მხრივ, შეკრებებზე მოხვედრა ფიზიკურად შეუძლებელი იქნებოდა.

თან, მცირეწლოვანთა მოკვლას, მათი ხორცის ჭამასა და მალამოებისა თუ მავნე ელექსირების დამზადებას. ასეთი სექტების არსებობა აღიქმებოდა, როგორც სერიოზული საფრთხე საზოგადოებისთვის. ამის გამო, აუცილებელად მიიჩნეოდა როგორც ხელისუფლების, ისე მოსახლეობის ინფორმირება და ასეთი საშინელი საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მზადება. ამ პრაქტიკას, როგორც დამანგრეველი მაგიის ფორმას, ოთხი ძირითადი ელემენტი ახასიათებდა და ამ მითითებებით უნდა მომხდარიყო ჯადოქართა იდენტიფიცირებაც:

კოლექტიური განზომილება – სექტა ან საიდუმლო საზოგადოება;

აბსოლუტური ერთგულების კავშირი – ჯადოქრის დამორჩილება ეშმაკისთვის, რომელიც გულისხმობდა დემონთა თაყვანისცემას;

ბუნების საწინააღმდეგო ქმედება – კანიბალიზმი, ბავშვთა მკვლელობა და გადახრილი სქესობრივი პრაქტიკები;

ჯადოსნური გადაადგილება ჰაერით (Page, Sophie, Rider 2019: 502-522).

პირველად სწორედ ამ პერიოდის ტექსტები აღწერენ და განსაზღვრავენ ჯადოქრების „შაბათის“ წარმოსახვით კონცეფციას. ათწლეულის განმავლობაში ეს ე. წ. „რწმენა“ ვრცელდება დასავლეთ ალპებსა და ლიონის რეგიონში, ხოლო XV საუკუნის პირველ ნახევარში – პირინეისა და იტალიის მიმართულებით. შემდგომში ეს იდეა სწრაფად მოედო დასავლეთ ევროპას და საუკუნეების განმავლობაში დარჩა საზოგადოებრივი ცნობიერების ნაწილად. თეოლოგები, ინკვიზიტორები და მაგისტრატები, რომლებიც ამ ტექსტებს ქმნიდნენ, ღრმად იყვნენ დარწმუნებული ჯადოქრების „შაბათისა“ და დემონურ სექტათა რეალურობაში. თავიანთი წერილობითი საქმიანობით ისინი ამ კონცეფციას აყალიბებდნენ და ამტკიცებდნენ. ისინი ამით უპირისპირდებოდნენ უფრო სკეპტიკურ ხაზს, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა ჯადოქრების მიერ ჩადენილი ქმედებების რეალურობას და მათ ცბიერების, ილუზიის, ფსიქიკური დაავადებისა თუ მელანქოლიის გამოვლინებად მიიჩნევდა. „შაბათის ფანატიკოსები“ გამოდიოდნენ რეპრესიის სასარგებლოდ და, მიუხედავად იმისა, რომ XV საუკუნის პირველ ნახევარში რაოდენობრივ უმცირესობას წარმოადგენდნენ, მათი გავლენა მნიშვნელოვნად იზრდებოდა ისეთ რეგიონებსა და სახელმწიფოებში, როგორებიც იყო: დასავლეთ ალპები, დასავლეთი შვეიცარია, სავოია, ბურგუნდია და საფრანგეთის ჩრდილოეთი და სამხრეთი. მათი ზეგავლენა ვრცელდებოდა გარკვეულ კულტურულ წრეებშიც, კერძოდ, დომინიკელთა და ფრანცისკანელთა ინკვიზიციაში, აგრეთვე, ბაზელის საეკლესიო კრებაშიც შეინიშნება მათი მონაწილეობა (Stieber 1978: 443-448).

ამ ახალი წარმოდგენის ჩამოყალიბებას, სწორედაც რომ მეთხუთმეტე საუკუნეში, ადასტურებს ექვსი ძირითადი წერილობითი წყარო: ჰანს ფრიუდი, ლუცერნელი ქრონისტი, თავის „ქრონიკებში“ აღწერს ჯადოქართა პირველ დევნას ვალეში (შვეიცარია), 1428-1436 წლებში; იოჰანეს ნიდერი, დომინიკელი და ვენის უნივერსიტეტის პროფესორი, საკითხს განიხილავს

საკუთარ ნაშრომში “Formicarius” („ჭიანჭველების კოლონია“) (1436-1438); ბრიანსონის (დოფინეს ტერიტორია) მთავარი მაგისტრატი კლოდ ტოლოზანი საკუთარ სასამართლო პრაქტიკაში ასზე მეტ ჯადოქრობის საქმეს განიხილავს და ხაზგასმით აღნიშნავს მათი დანაშაულის სიმძიმეს. ალპების მეორე მხარეს ჩნდება ანონიმური პამფლეტი “Errores Gazariorum”[2] რომელიც დეტალურად აღწერს ჯადოქრების შაბათის რიტუალს და მას თან ახლავს მკაცრი სადამსჯელო მითითებანი, თუ როგორ უნდა დაისაჯოს ჯადოქარი; უცნობი ავტორის მიერ შედგენილი ტრაქტატი “Vauderye de Lyonois”[3] მოწმობს დომინიკელთა სიძნელეებს ლიონში, სადაც ისინი ცდილობდნენ ჯადოქართა დევნის იდეა დაამკვიდრონ; ბოლოს, მარტინ ლე ფრანი, ლოზანის პროვოსტი და სავოიის ჰერცოგ ამადეუს VIII-ის (ანტიპაპი ფელიქს V) მდივნის დიდებული პოემა “Le Champion des Dames” („ქალთა დამცველი“), სადაც ჯადოქრების შაბათი ძირითადად ქალებთან ასოცირდება. ამ პირველწყაროების მნიშვნელობის სრულფასოვანი გააზრება საჭიროებს მათი შინაარსის, ისტორიულ-გეოგრაფიული კონტექსტის და გავრცელების ფორმების დეტალურ ანალიზს (Hansen 1998: 350).

დაახლოებით 1430 წელს ლუცერნელი ქრონისტი ჰანს ფრიუდი გერმანულ ენაზე აღწერს ვალეში 1428 წელს დაწყებულ ჯადოქართა დევნას. მისი ცნობით, მხოლოდ წელიწადნახევრის განმავლობაში დაიწვა ორასზე მეტი ჯადოქარი. ბრალდებულთა აღსარებები შემაძრწუნებელია. ჩვენებებში ჩნდება სექტა, რომელიც 700-ზე მეტ ჯადოქარს აერთიანებს. ისინი იკრიბებიან ფარულ „სკოლებში“, სადაც ხვდებიან „ბოროტ სულს“, რომელიც მათ, ქრისტიანული სარწმუნოების საწინააღმდეგოდ, აიძულებს მიატოვონ ღმერთი და მასთან ერთად ბოროტ პრაქტიკას მისდიონ. სანაცვლოდ, ეშმაკი ყველას სიმდიდრესა და ძალაუფლებას ჰპირდება. იგი ასწავლის ამ „ერეტიკოსებს“ ფრენას, საუკეთესო ღვინის მფლობელთა სარდაფებიდან ქურდობას, ასევე თავის გადაქცევას მგლად და უჩინმაჩინობას გარკვეული მცენარეების მეშვეობით. ეს უნარები მათ საშუალებას აძლევდა, რომ ადამიანებზე, ცხოველებსა და მოსავალზე მავნე მაგია აღესრულებინათ. ფრი-

---

[2] „გაზარიების შეცდომები“. ლათინური ფრაზა „Errores Gazariorum“ სიტყვასიტყვით ნიშნავს: Errores – „შეცდომები“, „ცდუნებები“, „ცრუ სწავლებანი“. Gazariorum – ნათესაობით ბრუნვაშია “Gazarii“-დან, რაც შუა საუკუნეების ლათინურ წყაროებში უმეტესად აღნიშნავდა ვალდენსებს (განსაკუთრებით ჩრდილოეთ იტალიისა და საფრანგეთის რეგიონებში გავრცელებულ ქრისტიანულ რეფორმატორულ მოძრაობას, რომელსაც კათოლიკური ეკლესია ერეტიკულად მიიჩნევდა). ამრიგად, სრული სათაური “Errores Gazariorum” ითარგმნება როგორც: „გაზარების (ვალდენსების) შეცდომანი“ ან „ვალდენსების ცრუ სწავლებანი“.

[3] „ლიონის ჯადოქრობა“. “Vauderye” – შუა საუკუნეების ფრანგულში ნიშნავდა „ვალდენსობა“, „ვალდენსური ერესი“. ხშირად ეს ტერმინი ინკვიზიტორებმა „ჯადოქრობასთან“ გააიგივეს. “Lyonois” – მიუთითებს ლიონის რეგიონზე (ფრანგ. Lyonnais). შესაბამისად, “Vauderye de Lyonois” ნიშნავს: „ლიონის ვალდენსების ერესი“ ან „ლიონის ჯადოქრობა“.

უდის ცნობით, ჯადოქრები, შესაძლოა, საკუთარ შვილებსაც კლავდნენ და მათ სისხლს შეკრებებზე სვამდნენ. ფრიუდი ამბობს, რომ ასეთი ფარული გაერთიანებები ქრისტიანული საზოგადოებისთვის ძირის გამოთხრას ცდილობდნენ და მზად იყვნენ საკუთარი ძალაუფლება და კანონები დაემყარებინათ. ავტორის აზრით, უკანასკნელი ცხრა წლის განმავლობაში მავნე მაგიის აღმსრულებელთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და მათ საკუთარი „მეფის" არჩევამდე ერთი ნაბიჯი აშორებდათ. მისივე თქმით, ჯადოქრობა იყო ერთ-ერთი უდიდესი საფრთხე საზოგადოებისთვის. იდეა, რომ ნებისმიერ ადამიანს შეიძლებოდა მოეხერხებინა მაგიური მოქმედებების შესრულება მხოლოდ ეშმაკისთვის თავის მიძღვნით, ბუნებრივია, დიდ შიშს ტოვებდა საზოგადოებაში (Oldridge 2020: 39).

დღეს უკვე ვიცით, რომ ფრიუდს არაფერი მოუგონია, თუმცა ზოგიერთი დეტალი შესაძლოა გადაჭარბებულად წარმოეჩინა. რეალურად, ჯადოქართა მასშტაბური დევნა ვალეში 1428-1436 წლებში მართლაც მიმდინარეობდა. ინიციატივა ეკუთვნოდა როგორც ეპისკოპალურ, ისე საერო სასამართლოებს, რომელთა სათავეში სავოიის ჰერცოგი იდგა. ფრიუდის ქრონიკის დიდი ნაწილი პირდაპირ უკავშირდება ბრალდებულთა აღსარებებს, რომლებიც სასამართლო ოქმებშია დაცული (Ostorero 2019: 62-63).

იოჰანეს ნიდერი, დომინიკელი მოძღვარი და ვენის უნივერსიტეტის თეოლოგიის პროფესორი, თავის ნაშრომში "Formicarius" (1436-1438) აღწერს მოვლენებს, რომლებიც ფრიუდის ამბების მსგავსია, თუმცა ვითარდებოდა ლოზანის ეპარქიასა და ბერნის მიწებზე. წიგნი იყენებს მასწავლებლისა და მოსწავლის დიალოგს, როგორც ნარატივის ფორმატს. მასწავლებელი თეოლოგია, რომელიც, აშკარად, თავად ნიდერს უნდა განასახიერებდეს. მოსწავლე წარმოდგენილია, როგორც ცნობისმოყვარე, თუმცა ზარმაცი პიროვნება. მისი ძირითადი დანიშნულებაა თეოლოგისთვის იმ თანამედროვე ისტორიების მოყოლა, რომლებიც წიგნის მრავალ თემას უკავშირდება (Bailey 2003: 12). ნიდერი 1429-1434 წლებში ბაზელში დომინიკელთა ორდენის წინამძღვარი იყო და რელიგიური რეფორმებს ხელმძღვანელობდა, რის გამოც მას, ბუნებრივია, წვდომაც ჰქონდა ამ ამბებზე. იგი თვლიდა, რომ მავნე მაგია და ჯადოქართა კანიბალისტური სექტები წარმოადგენდა საუკეთესო მასალას ზნეობრივი სწავლებისათვის საზოგადოებრივი რეფორმის კონტექსტში. ასევე, დასძენდა, რომ „... ჯადოქრობა არა მხოლოდ ინდივიდუალურ დონეზე, არამედ მთლიანად საზოგადოებაზე ახდენს გავლენას, რადგან ის აზიანებს ქრისტიანულ წესრიგს და რწმენას" (ავტორისეული თარგმანი – თ. ს.) (Nider 1971: 89). "Formicarius" პირველ რიგში იყო საეკლესიო-სამწყსო ხასიათის ნაშრომი. ნიდერი ორ ინფორმატორზე დაყრდნობით აღწერს მოვლენებს: პირველი – ოტენის ინკვიზიტორი, ჰყვებოდა, რომ 1437 წლისთვის ჯადოქრებმა ფარულ შეკრებაზე ახალშობილთა ხორცი შეჭამეს, ხოლო მეორე – სეკულარული მოსამართლე ჰაი-სიმენტალიდან, პიერი, ამტკიცებდა, რომ ჯადოქრები ახალშობილთა გვამებს იყენებდნენ მავნე

ელექსირების მოსამზადებლად ან ცხოველად გარდასახვისათვის. ინიციაციის ეს რიტუალი მათ საშუალებას აძლევდა, ერთბაშად დაუფლებოდნენ სექტის საიდუმლო ცოდნას, ოღონდ იმ პირობით, რომ ისინი ღმერთზე უარს იტყოდნენ და ეშმაკს ერთგულებას შეჰფიცებდნენ. პიერის მიხედვით, ჯადოქრები, სახელად სკავიუსი, ჰოპო და სკაედელი, ავრცელებდნენ შელოცვებს, რომლებიც იწვევდნენ უშვილობას, ავადმყოფობას, სეტყვასა და სიკვდილს. ნიდერისათვის მათი პრაქტიკები ნათლად წარმოადგენდა ჯადოქრობის სახიფათო გამოვლინებას. მიუხედავად იმისა, რომ ნიდერი აღწერს „შაბათის“ რამდენიმე ასპექტს, მას ამ ე. წ. ცერემონიის სრულყოფილი დახასიათება არ მოუცია.

ნიდერი ბოლომდე არ ენდობოდა ყველა მონაყოლს, რადგან სჯეროდა, რომ ეშმაკი განსაკუთრებით ქალთა მოტყუებას ცდილობდა. “Formicarius”-ის მეორე წიგნში, რომელიც სიზმრებსა და ხილვებს ეხება, იგი მოგვითხრობს მოხუც ქალზე, რომელსაც ჰგონია, რომ დაფრინავს, თუმცა სინამდვილეში, საკუთარ გობში ზის. მისთვის ეს მხოლოდ ოცნებაა, ერთგვარი ტრანსი. ნიდერისთვის ღამის ფრენა არარელევანტური, პოპულარული ცრურწმენაა, ამიტომაც მას ღიად დასცინის. მიუხედავად სკეპტიციზმისა, ნიდერი მაინც დარწმუნებულია იმაში, რომ არსებობს ჯადოქართა ჯგუფები, რომლებიც ჩადიან ბავშვთა მკვლელობას, მისდევენ კანიბალიზმს, ასევე ეშმაკის ირგვლივ იკრიბებიან „შაბათის“ მსგავსი ცერემონიალებისთვის. როგორც ნიდერი აღნიშნავს “Formicarius”-ში (1437–1438/1971, II, cap. 2), ოტენის ინკვიზიტორის მონათხრობი ასახავს ჯადოქართა მიერ ბავშვთა მკვლელობისა და კანიბალიზმის ამბებს. მსგავსი სიუჟეტები გვხვდება ბერნისა და ლოზანის ტერიტორიებზეც (Bailey 2003: 85-87).

ამავე წლებში ჩნდება სამი მოკლე ტრაქტატი, რომლებიც სისტემურად აღწერენ ჯადოქართა „შაბათის“ რიტუალებს. ამ ნაშრომების მიზანი იყო ჯადოქრების დანაშაულის დამტკიცება მათი ქმედებების სიმძიმის ხაზგასმით. ორი მათგანი ანონიმურია: “Errores Gazariorum” სავარაუდოდ ვალ-დ’ოსტის ინკვიზიტორულ წრესთან იყო დაკავშირებული, ხოლო “Vauderye de Lyonois” – ლიონის დომინიკელებთან. მესამე ტრაქტატის ავტორია ბრიანსონის მთავარი მოსამართლე კლოდ ტოლოზანი, რომელიც საფრანგეთის მეფის სამსახურში მყოფი იურისტი იყო. მისი ნაშრომი “Ut magorum et maleficiorum errores“ („რათა გამოაშკარავდეს მაგების და მავნე ჯადოქრების შეცდომანი“), დაწერილი დაახლ. 1436 წელს, ათწლიანი სასამართლო პრაქტიკის შედეგს წარმოადგენს. ტოლოზანი ასზე მეტ ჯადოქრობის პროცესს თავმჯდომარეობდა და თავის წიგნში დეტალურად აღწერს ეშმაკის სექტის რიტუალებს, მათ შორის ეშმაკისადმი თაყვანისცემას, რასაც მოჰყვებოდა ორგიები და კანიბალისტური ნადიმები. ასევე, ის აღწერს მავნე შელოცვებს, მათ შემადგენლობასა და ეფექტებს. მათი საშუალებით ჯადოქრებს შეეძლოთ მამაკაცთა გონების დაბინდვა და ქალთა უნაყოფობის გამოწვევა. მიუხედავად იმისა, რომ ღამის ფრენას დემონურ ილუზიად

მიიჩნევდა, ტოლოზანი ნამდვილად ადასტურებდა „შაბათისა“ და სექტის არსებობას, რომელთაც საშინელ დანაშაულებად აღიქვამდა. ამიტომაც, ის ამართლებდა რეპრესიულ ქმედებებს. მეორე ნაწილში ავტორი მოიხმობს სხვა იურისტთა, კერძოდ – სამხრეთელი ადვოკატის, ჟურდენ ბრაისის მოსაზრებებსაც. საბოლოოდ, ტოლოზანი წიგნს ასრულებს მნიშვნელოვანი იურიდიული შენიშვნით: ჯადოქრობა უნდა გათანაბრდეს მკვლელობასთან (Kieckhefer 1976: 45-48). ვფიქრობ, ამით ის საერო კანონების საეკლესიო კანონებზე უპირატესობის დამტკიცებას ცდილობდა. ტოლოზანის ნაშრომი, განსხვავებით “Errores Gazariorum”-ისა და “Vauderye de Lyonois”-ისგან, ფართოდ არ გავრცელებულა და მხოლოდ პირადი ჩანაწერების კრებულში (“Quintus liber fachureriorum”) შემოინახა. მიუხედავად ამისა, დოფენის რეგიონში (1424-1445) ჯადოქართა დევნის ადრეულმა და მასშტაბურმა კამპანიებმა ძლიერი გავლენა იქონია მეზობელ საზოგადოებებზეც და ხელი შეუწყო „შაბათის“ იდეის გავრცელებას. იქიდან გამომდინარე, რომ ტოლოზანი საკმაოდ გავლენიანი იყო, დოფინეში განხორციელებული რეპრესიის დიდი ნაწილი სწორედ მას მიეწერება (Ostorero 2019: 64).

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ტექსტი “Errores Gazariorum” (1436-1438), რომელიც მოსამართლე ტოლოზანის დემონოლოგიურ ხედვებს დიდწილად იზიარებს. ტექსტში ნათქვამია, რომ როდესაც ეშმაკის მიერ ახალი წევრების დამორჩილება ხდება, მათ აქვთ ვალდებულება, დადონ ფიცი, შეინარჩუნონ სექტის საიდუმლოება, იზრუნონ ახალი წევრების მოზიდვაზე და დაიცვან თანამოძმეთა ინტერესები. ინიცირებულებს ბავშვების მკვლელობა ევალებათ, მათი სხეულები კი „შაბათზე“ უნდა მიიტანონ. თითქმის ყველა ავტორი ჰაერში გადაადგილებაზე ამახვილებს ყურადღებას: „...ისინი იყენებენ ჯადოსნურ ფრთებს, რათა იმოგზაურონ და მიაღწიონ თავიანთ შეკრებებს“ (ავტორისეული თარგმანი – თ. ს.). გარდა ამისა, ჯადოსნური სასმელებითა და მავნე ნაყენებით ისინი ადამიანებსა და ცხოველებს უნაყოფობასა და სნეულებებს უვლენენ. სრული ინიციაციის შემდგომ, სექტა ინიციანტის გაწევრიანებას საქორწინო-სადღესასწაულო ნადიმით აღნიშნავს, რომლის მთავარი „კერძი“ უმეტესად მოხარშული ან შემწვარი ბავშვებია. საზეიმო ქმედებებს თან სდევს ცეკვა, რის შემდეგაც, ეშმაკის ბრძანებით, იწყება კოლექტიური ორგია, სადაც არ იცავენ არც სისხლით ნათესაობას და არც სქესობრივ განსხვავებებს. ასევე, სექტის წევრები ამზადებენ სხვადასხვა ფხვნილსა თუ მალამოს, რომელთა შემადგენლობაში შედის ბავშვის ქონი, გველები, გომბეშოები, ობობები, ხვლიკები და სხვა ინგრედიენტები. ეს ნივთიერებები, ეშმაკის დახმარებით, გამოიყენებოდა ადამიანთა და ცხოველთა წინააღმდეგ ან მოსავლის გასანადგურებლად (Cohn 1975: 101). ტექსტი შედგენილია, როგორც პრაქტიკული სახელმძღვანელო, სტრუქტურირებული „მუხლებით“, სადაც თითოეული პუნქტი კითხვა-პასუხის ფორმით აღწერს ჯადოქართა სექტის კონკრეტულ ასპექტს.

უცნობი ავტორი ეყრდნობა ვალ დ'აოსტაში (ჩრდილოეთი იტალია, სავოიის საჰერცოგო) ჩატარებულ სასამართლო პროცესებს. "Errores Gazariorum"-ის ავტორად მიჩნეულია ფრანცისკანელი ინკვიზიტორი პონს ფოიჟერონი ან მისი უახლოესი გარემოცვის წარმომადგენელი. ტექსტის ძირითადი დანიშნულება იყო ჯადოქართა და დემონთმსახურთა წინააღმდეგ საბრძოლველად დოგმატურ-სამართლებრივი ბაზის მომზადება. ვალ დ'აოსტაში ჯადოქრების დევნა მინიმუმ 1428 წლიდან იწყება, ხოლო 1430-1460-იან წლებში, ფრანცისკანელი ინკვიზიტორების ხელმძღვანელობით, უფრო მასშტაბური პროცესები ხორციელდება. "Errores Gazariorum"-ის ორი ხელნაწერი კონსილიუმ ბაზელთანაა დაკავშირებული, რაც უფრო ამყარებს ჰიპოთეზას, რომ ტექსტი სწორედ ფოიჟერონს ეკუთვნის, რომელიც 1433-1437 წლებში ხშირად ესწრებოდა კონსილიუმის სხდომებს. მართლაც, ბაზელის კრება შეიძლებოდა ყოფილიყო იდეალური სივრცე „ჯადოქართა შაბათის" შესახებ ლიტერატურის გასავრცელებლად.

"Errores Gazariorum"-ს მრავალი პარალელი აქვს იმავე კონტექსტში შექმნილ პამფლეტთან, რომელიც ცნობილია სახელწოდებით "Vauderye de Lyonois en brief". ის უცნობი ავტორის მიერ ლათინურადაა შედგენილი, სავარაუდოდ 1430-იან წლების მიწურულს. პამფლეტში დეტალურად არის აღწერილი „ვალდენსების" სექტა, მათი ორგანიზაციული სტრუქტურა და დანაშაულებრივი პრაქტიკა. სექტის წევრები, "Faicturiers" ან "Faicturières"[4], იკრიბებიან ღამით „სინაგოგაში", რომელსაც სხვადასხვა წყარო „შაბათს" უწოდებს. აქ ისინი ეშმაკს საშინელი სახით სცემენ თაყვანს, ქრისტიანულ რიტუალებს აყალბებენ და მონაწილეობენ საეჭვო ბუნების „წეს-ჩვეულებებში", მათ შორის, სექსუალურ ორგიებში.

ამ ტექსტის მიზანი ნაკლებადაა მიმართული სექტის თეორიული არსებობის დამტკიცებისკენ. ის უფრო მეტად მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებებსა და სიმახინჯეებს აღწერს, რათა გამკაცრდეს სასჯელი. თანამედროვე კვლევების მიხედვით, "Vauderye de Lyonois" დომინიკანელ ინკვიზიტორებს მიეკუთვნება და სავარაუდოდ ლიონში შეიქმნა 1430-იან წლებში. დოკუმენტის შედგენა უკავშირდება ლიონის დომინიკანური მონასტრის წინამძღვარს თომა ჟირბელისა და იმავე მონასტრის ინკვიზიტორს ჟან ტაკოს, რომლებიც რეგიონში ჯადოქრების დევნის სამართლებრივ და სტრუქტურულ საფუძველს ამზადებდნენ. თუმცაღა, მათ წინააღმდეგობას უწევდნენ

[4] მოდის ძველი ფრანგული ზმნიდან faire („გაკეთება", „შესრულება"). შესაბამისად, „faicturier" ნიშნავს „შემსრულებელს", „იმას, ვინც საქმე გააკეთა". ტრაქტატში „Vauderye de Lyonois" ეს ტერმინი გამოიყენება ჯადოქრების აღმნიშვნელად. ავტორი მათ აღწერს, როგორც ეშმაკის სექტის წევრებს. ისინი იკრიბებიან ე. წ. „სინაგოგაში" (რაც „ჯადოქრების შაბათის" შესაბამისი ტერმინია), თაყვანს სცემენ ეშმაკს, მონაწილეობენ ორგიებში, კანიბალისტურ ნადიმებში, და ასრულებენ სხვადასხვა მავნე მაგიურ პრაქტიკას. ანუ "Faicturiers" = „ჯადოქრები"/„ეშმაკის მსახურნი", რომლებიც, ფაქტობრივად, ასრულებენ ბოროტ ქმედებებს.

როგორც ლიონის არქიეპისკოპოსი, ისე ქალაქის მმართველი ფენა (Ostorero 2019: 66).

საინტერესო პიროვნებაა მარტინ ლე ფრანზე, რომელიც 1440-იანი წლების დასაწყისში აღწერს დოფინესა და პიემონტში გამართულ პროცესებს. ის პირველი იყო, ვინც ჯადოქრების დევნის თემა ლიტერატურულ-ჰუმანისტურ ფორმაში გადმოგვცა. პოემა "Le Champion des Dames" დიალოგის ფორმითაა აგებული, სადაც „დამცველი" ედავება „ქალთმოძულეს". ტექსტში ქალების კრიტიკოსი იცავს „ვალდენსების" არსებობას. მატერიალური და სატანური მეტამორფოზის შესახებ წარმოდგენებს „მცველი" უარყოფს, ამგვარ ცრურწმენებს სკეპტიკურად ეკიდება და „მაგიური ფრენის" თეორიას დასცინის. დიალოგი ნათლად წარმოაჩენს იმ განსხვავებულ მენტალობებს, რომლებიც იმ ეპოქაში თანაარსებობდა. მათგან ერთი უფრო მეტად რაციონალური იყო, ხოლო მეორე გაუკუღმართებულ რწმენა-წარმოდგენებს უკავშირდებოდა. პოემაში „ქალთა მცველი" ამტკიცებს, რომ ჯადოქრების დაწვის ნაცვლად, ეკლესიამ უნდა იზრუნოს ქალთა განათლებაზე. განათლების მეშვეობით ქალებს შეეძლებათ საკუთარი სისუსტისა და ნაკლოვანებების გაცნობიერება. მისი კრიტიკა ასევე მიმართულია პაპის კარისკენ, რომელსაც იგი ადანაშაულებს, რომ სოფლად უფრო მეტი მოძღვრის გაგზავნაა საჭირო (Ostorero 2019: 67).

საერო ხელისუფლებაც არ დარჩენილა გულგრილი მოაზროვნეებს შორის მიმდინარე ამ გარდაქმნების მიმართ. ისინი ჯადოქრების დევნას აღიქვამდნენ როგორც საშუალებას, დაედასტურებინათ საკუთარი სამართლის სიდიადე ეკლესიასთან შედარებით. შესაბამისად, რეპრესიების პოლიტიკური განზომილება უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს. საერო ხელისუფლება აქტიურად მოქმედებს მაშინ, როდესაც დანაშაული საფრთხეს უქმნის ადამიანებსა თუ საკუთრებას და ამავე დროს, არ შეიცავს „ერესის" ელემენტებს. მიუხედავად ამისა, რეპრესიის რეგიონული განსხვავებები დიდია, რადგან ჯადოქრობის დანაშაულის სიმძიმის აღქმა ყველგან ერთნაირი არ არის. 1440-იანი წლებიდან, ჯადოქრობაზე დაწერილი ტექსტები ცდილობენ არა მხოლოდ „შაბათისა" და ჯადოქართა მიერ ჩადენილი სისასტიკეების აღწერას, არამედ დემონებთან ჯადოქრების ურთიერთობისა და მისი შედეგების რეალობის გარკვევას. ტექსტების მიზანია სასამართლოებს მიაწოდოს მიღებული ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც შეიძლება გამოყენებულ იქნას „ჯადოქრობის დოქტრინა", როგორც სამართლებრივად, ასევე თეოლოგიურად. დემონოლოგიის ტრაქტატები, როგორც ავტონომიური ნაშრომები, გავრცელებას იწყებენ უკვე 1450-იან წლებში. დემონოლოგიის თეორეტიკოსები ძირითადად ინტელექტუალები იყვნენ: თეოლოგები, ინკვიზიტორები, იურისტები ან ექიმები. ისინი ცდილობდნენ ახალი წარმოდგენა ჯადოქართა „შაბათის" შესახებ, ჩაწერილიყო ქრისტიანულ ტრადიციულ დემონოლოგიაში. ამისთვის, ინტელექტუალები მიზნად ისახავენ

დემონთა არსებობისა და ბუნების, ასევე მათი ადამიანებზე და გარემოზე ზეგავლენის განსაზღვრას (Ostorero 2019: 67-70).

ჯადოქრებზე ნადირობა XV-XVII საუკუნეებში არა მხოლოდ სამართლებრივი ან რელიგიური მოვლენა იყო, არამედ ფართო სოციალური და კულტურული პროცესების გამოხატულებაც. მისი ძირითადი მიზეზი იყო თეოლოგიური შეხედულებებისა და პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესების შერწყმა. ხელისუფლება და ეკლესია ამ პროცესში საკუთარ ძალაუფლებას ამტკიცებდნენ, ხოლო მოსახლეობის კოლექტიური შიში მათთვის სოციალური კონტროლის მძლავრ ინსტრუმენტად იქცა. დემონოლოგიური ტექსტები და სასამართლო პროცესები ნათლად ასახავენ, თუ როგორ იქცა იდეოლოგიურად დამუშავებული „რწმენა“ რეალურ რეპრესიებად (Monter 1972: 79). ჯადოქრებზე ნადირობა როგორც ინდივიდების, ასევე ფართო ჯგუფების წინააღმდეგ მიმართულ ზეწოლას წარმოადგენდა, რაც მიზნად ისახავდა „განსხვავებული“, „უცხო“ იდენტობის განადგურებას. ამ თვალსაზრისით, ეს პროცესი მომდევნო პერიოდებში განხორციელებული გენოციდებისა და მასობრივი დევნების ერთგვარ წინამორბედად გვევლინება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სხვადასხვა ავტორი განსხვავებულად აფასებდა მოვლენებს. ზოგიერთი მათგანი ხაზს უსვამდა ჯადოქართა ბოროტ ქმედებებს და მათ წინააღმდეგ სასტიკ ზომებს ამართლებდა, მიუხედავად იმისა, რომ რეალური მტკიცებულებები ხშირად ძალიან სუსტი ან სრულიად არარსებული იყო. სხვები კი, განსაკუთრებით ჰუმანისტური წრის წარმომადგენლები, სკეპტიკურად ეკიდებოდნენ დემონოლოგიურ თეორიებს და ცდილობდნენ მოვლენების უფრო რაციონალურ ახსნას. ამ დაპირისპირებამ აჩვენა, რომ ევროპულ საზოგადოებაში მიმდინარეობდა მსოფლმხედველობრივი ბრძოლა, რომლის შედეგმაც, შეგვიძლია ვთქვათ, განსაზღვრა შემდგომი საუკუნეების აზროვნების მიმართულებები. ჯადოქრებზე ნადირობის ისტორია ასევე მიუთითებს იმაზე, თუ როგორ შეიძლება კოლექტიური შიში და ცრურწმენა გადაიზარდოს ინსტიტუციურ ძალადობაში. მასობრივი პროცესები, სადაც ასობით ან ათასობით ადამიანი იქნა ბრალდებული და დასჯილი, ნათლად გვიჩვენებს, რომ როცა ძალაუფლება და იდეოლოგია ერთიანდება, შედეგი ხშირად ტრაგიკულია. ამავე დროს, ეს ისტორიული გამოცდილება გვაძლევს მნიშვნელოვან გაკვეთილს თანამედროვე საზოგადოებებისთვისაც კრიტიკული აზროვნებისა და სამართლებრივი წესრიგის მნიშვნელობის შესახებ. შესაბამისად, ჯადოქრებზე ნადირობა მხოლოდ შუა საუკუნეების ან ადრეული ახალი დროის ისტორიული ფაქტი კი არ არის, არამედ ადამიანის გონებისა და საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა. ის გვახსენებს, თუ რამდენად ადვილია შიშისა და ილუზიების ტყვეობაში აღმოჩენა და რამდენად მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებამ კრიტიკულად შეაფასოს საკუთარი რწმენები და ინსტიტუციური ქმედებები. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი იმის უზრუნველყოფა, რომ მსგავსი ტრაგიკული გამოცდილებები აღარ განმეორდეს.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

- **Bailey 2003:** Bailey Michael D.. Battling Demons: Witchcraft, Heresy, and Reform in the Late Middle Ages. University Park, PA: Pennsylvania State University Press, 2003;
- **Brown, Driver, Briggs 1906:** Brown Francis, S. R. Driver and Charles A. Briggs. A Hebrew and English Lexicon of the Old Testament. Oxford: Clarendon Press, 1906;
- **Cohn 1975:** Cohn Norman. Europe's Inner Demons: An Enquiry Inspired by the Great Witch-Hunt. New York, NY: Basic Books, 1975;
- **Eymerich 1607:** Eymerich Nicolau. Directorium inquisitorum, cum commentariis Francisci Pegne. Venetiis: Apud Marcum Antonium Zalterium, 1607;
- **Granados 2019:** Granados C. P.. "The Inquisitor's Demons: Nicolau Eimeric's Directorium inquisitorum." In The Science of Demons: Early Modern Authors Facing Witchcraft and Devil, edited by Jan Machielsen, 19. London: Routledge, 2020;
- **Nider 1971:** Formicarius. (1437-1438). Johannes Nider. A. H. Lehmann, ed. New York, NY: AMS Press, 1971;
- **Kieckhefer 1976:** Kieckhefer Richard. European Witch Trials: Their Foundations in Popular and Learned Culture, 1300-1500. Berkeley: University of California Press, 1976;
- **Lewis, Short 1879:** Lewis Charlton T. and Charles Short. A Latin Dictionary. Oxford: Clarendon Press, 1879;
- **Monter 1972:** Monter E. William. Witchcraft in France and Switzerland: The Borderlands during the Reformation. Ithaca: Cornell University Press, 1972;
- **Oldridge 2020:** Oldridge Darren, ed. The Witchcraft Reader. 3rd ed. London & New York: Routledge, 2020;
- **Ostorero 2019:** Ostorero Martine. The Routledge History of Medieval Magic. London & New York: Routledge, 2019;
- **Page, Sophie, Rider 2019:** Page, Sophie and Catherine Rider, eds. The Routledge History of Witchcraft. London & New York: Routledge, 2019;
- **Oliver 1996:** Puig Jaume de Oliver. "La 'Incantatio Studii Ilerdensis' de Nicolau Eimeric O.P.: Edició i estudi." Arxiu de Textos Catalans Antics, 1996;
- **Stieber 1978:** Stieber Joachim W., Pope Eugenius IV, the Council of Basel and the Secular and Ecclesiastical Authorities in the Empire. Leiden: Brill, 1978;
- **Hansen 1998:** Tolosanus, C. (ca. 1436). Ut magorum et maleficiorum errores. In J. Hansen, ed., Quellen und Untersuchungen zur Geschichte des Hexenwahns und der Hexenverfolgung im Mittelalter, 383-410. Hildesheim: Georg Olms, 1998;
- გამოსვლა: ბიბლია, ძველი აღთქმა, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, 1989.

Temur Sikharulidze
Master's Program in Medieval History, TSU
Temosikharulidze43@gmail.com

IDEOLOGICAL FOUNDATIONS OF WITCH HUNTS IN EUROPE

(SUMMARY)

Witch hunts were one of the most tragic phenomena in European history. From the late Middle Ages, societies believed that certain individuals served evil forces through pacts with the devil, which fueled fear, demonological theories, and mass persecution. Representations of witchcraft appear in legal, literary, and ecclesiastical texts, serving both to terrify the populace and reinforce social control. From the fourteenth century, some were thought capable of performing magic with the devil's help. By the early fifteenth century, the idea of secret witch sects emerged, gathering to worship the devil, harm humans and crops, and undermine Christian society. This formed the foundation of the "doctrine of witchcraft," driving persecutions from the fifteenth to seventeenth centuries.

Chronicles, pamphlets, court records, and treatises documented these beliefs. Mid-fifteenth-century demonological treatises explained harmful magical practices, defined demonic influence, and guided courts in judging witchcraft. Texts from the 1430s, such as Hans Frid's chronicle, Johannes Nider's Formicarius, Errores Gazariorum, Vauderye de Lyonois, Claude Tolosan's judicial writings, and Martin Le Franc's poem Le Champion des Dames, described the organization, rituals, and alleged crimes of witches. Four main elements defined witchcraft: collective gatherings, loyalty to the devil, unnatural acts (cannibalism, infanticide, perverse sexuality), and magical flight. While some authors were skeptical, many promoted these beliefs as grounds for repression. Witch hunts reflected the intersection of theology and political authority, where fear served as a social control mechanism. Demonological texts and trials transformed ideological beliefs into real persecution, often targeting entire communities perceived as "other."

In conclusion, European witch hunts were not only historical events but also profound challenges to human thought and social order. They demonstrate how fear and superstition can escalate into institutional violence and underline the importance of critical thinking and legal safeguards to prevent similar tragedies.